



**დამოუკიდებელი ინსპექტორის  
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა**

ქ. თბილისი

2020 წლის 09 მარტი

**დისციპლინური საქმე №10/20  
მოსამართლე --- მიმართ  
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე**

---- 2020 წლის 07 თებერვლის №10 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>5</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75<sup>6</sup> მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე ---- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2020 წლის 11 თებერვლის №77/10-03 წერილით მოსამართლეს ეცნობა მის მიმართ ---- 2020 წლის 07 თებერვლის №10 საჩივრის შემოსვლის და დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ.

**1. საჩივრის ავტორის მიერ მითითებული გარემოებები**

საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ 2019 წლის 19 დეკემბერს საჩივრით მიმართა ---- სასამართლოს და ითხოვა ზემდგომი პროკურორის გადაწყვეტილების გაუქმება დაზარალებულად ცნობის თაობაზე. საჩივრის ავტორის შეფასებით, მოსამართლე ---- საჩივარი განიხილა საქმის მასალების საფუძველიანი შესწავლის გარეშე, რის შედეგადაც მოსამართლემ გაიზიარა პროკურორის პოზიცია და მიიღო განჩინება - ---- საჩივრის არ დაკმაყოფილების თაობაზე.

**2. საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები**

საქმის მასალების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ 2019 წლის 19 დეკემბერს ---- სასამართლოს საჩივრით მიმართეს მოქალაქეებმა ---- და ---- რომლებიც ითხოვდნენ ---- სს საქმეზე დაზარალებულად ცნობას.

2019 წლის 24 დეკემბერს, ---- სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლე ---- ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა და არ დააკმაყოფილა ---- და ---- საჩივარი.

სასამართლოს შეფასებით, სს საქმეზე, რომელზეც მიმდინარეობს გამოძიება, ამ ეტაპზე არ იკვეთება დანაშაულის ნიშნები. შესაბამისად, არ არსებობს ---- დაზარალებულად ცნობის საფუძველი.

**3. საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება**

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>1</sup> მუხლის მე-8 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს, საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, არავის არა აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე. ამასთან, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>10</sup> მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

ამდენად, ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება შესაძლებელია მხოლოდ იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად მოქმედებდა მოსამართლე არსებული კანონმდებლობის ფარგლებში.

მოსამართლე ----- ქმედებათა სამართლებრივი შეფასებისას უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 56-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, პირის დაზარალებულად ან მის უფლებამონაცვლედ ცნობის სათანადო საფუძვლის არსებობისას პროკურორს გამოაქვს დადგენილება საკუთარი ინიციატივით ან ამ პირის მიერ შესაბამისი განცხადებით მიმართვის შემთხვევაში. თუ პროკურორმა განცხადება მისი შეტანიდან 48 საათის განმავლობაში არ დააკმაყოფილა, აღნიშნულ პირს უფლება აქვს, დაზარალებულად ან მის უფლებამონაცვლედ ცნობის მოთხოვნით ერთჯერადად მიმართოს ზემდგომ პროკურორს. თუ ზემდგომმა პროკურორმა საჩივარი არ დააკმაყოფილა, აღნიშნულ პირს უფლება აქვს, პროკურორის გადაწყვეტილება გაასაჩივროს გამოძიების ადგილის მიხედვით რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში.

ამავე მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, მოსამართლეს ამ მუხლის მე-5 და მე-6 ნაწილებით გათვალისწინებულ საკითხებზე 15 დღის ვადაში გამოაქვს განჩინება ზეპირი მოსმენით ან მის გარეშე. მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

საქმის მასალების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ მოსამართლე ---- მოქმედებდა მისთვის კანონმდებლობით დადგენილი ვადისა და მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში.

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ დამოუკიდებელი ინსპექტორი მოკლებულია შესაძლებლობას იმსჯელოს საჩივრის ავტორის მიერ მითითებულ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით, ვინაიდან აღნიშნული მოითხოვს მტკიცებულებათა შინაარსობრივ შესწავლასა და შეფასებას, რაც სცილდება დამოუკიდებელი ინსპექტორის უფლებამოსილებას. მოსამართლის მიერ თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე მტკიცებულებათა შეფასების შედეგად, მიღებული განჩინების შეფასება და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება მხოლოდ სასამართლოს კომპეტენციას წარმოადგენს.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>12</sup> მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, დამოუკიდებელი ინსპექტორი იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ საჩივარი ეხება მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებას.

დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>12</sup> მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით და

## გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

---- 2020 წლის 07 თებერვლის №10 საჩივრის საფუძველზე მოსამართლე ---- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

ზურაბ აზნაურაშვილი

დამოუკიდებელი ინსპექტორი